უწმინდეს პატრიარქ კირილეს თავმჯდომარეობით გაიმართა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2025 წლის დასკვნითი სხდომა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 26.12.2025. 26 დეკემბერს, მოსკოვში, დანილოვოს მონასტრის საპატრიარქო და სინოდალურ რეზიდენციაში მოსკოვისა და რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ უხელმძღვანელა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2025 წლის დასკვნით სხდომას.

სხდომის გახსნისას, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა მონაწილეებს მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა, რის შემდეგაც წმინდა სინოდმა მუშაობა დაიწყო დღის წესრიგის მიხედვით, – **იტყობინება პატრიარქის პრეს-სამსახური.**

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ:

წმინდა სინოდის მუდმივი წევრები: კიშინიოვისა და სრულიად მოლდოვას მიტროპოლიტი ვლადიმერი; ასტანისა და ყაზახეთის მიტროპოლიტი ალექსანდრე, ყაზახეთის რესპუბლიკაში სამიტროპოლიტო ოლქის მმართველი; ტაშკენტისა და უზბეკეთის მიტროპოლიტი ბიკენტი, ცენტრალური აზიის სამიტროპოლიტო ოლქის მმართველი; სანქტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი ბარსანოფი; კრუტიცკისა და კოლომნის მიტროპოლიტი პავლე, პატრიარქის ადგილმონაცვლე მოსკოვის სამიტროპოლიტოში; მინსკისა და ზასლავის მიტროპოლიტი ბენიამინი, სრულიად ბელარუსის საპატრიარქო ეგზარქოსი; ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი გრიგოლი, მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი; ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე; ვლადიმირისა და სუზდალის მიტროპოლიტი ნიკანდრე, მოსკოვის საპატრიარქოს საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს თავმჯდომარე;

წმინდა სინოდის დროებითი წევრები: ვორონეჟისა და ლისკინის მიტროპოლიტი ლეონტი; ბირობიჯანისა და კულდურის ეპისკოპოსი ლუკა; ალმეტიევისა და ბუგულმის ეპისკოპოსი მეთოდე; სკადოვსკის და ალეშკინის ეპისკოპოსი ფილარეტი; ენისეისა და ლესოსიბირის ეპისკოპოსი ეგნატე.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93885/